დნმ ექსტრაქცია Chelex-ის მეთოდის გამოყენებით 292 კულტურიდან განხორციელდა. მიღებულ დნმ-ზე დაფუძნებული, RAPD პჯრ-ის და შესაბამისი UPGMA დენდროგრამის აგების შედეგად გამოიკვეთა 10 უნიკალური RAPD პჯრ-ის ანაბეჭდის მქონე შტამი და 28 გენოტიპურად განსხვავებული UPGMA კლასტერი.

შტამები რომელთა RAPD ანაბეჭდები ერთმანეთის იდენტურია არანაკლებ >99%-ისა და ამავდროულად გამოყოფილია ერთი და იგივე ნიმუშიდან, მიიჩნევა დუბლირებულ იზოლატებად. ამგვარ იზოლატად 78 კულტურა განისაზღვრა. დუბლირებული კულტურების გამოცხრილვის შემდეგ, შემდგომი იდენტიფიკაცია 214 შტამისთვის განხორციელდა.

წინასწარი იდენტიფიკაციისთვის RAPD პჯრ-ის ანაბეჭდები შედარდა გენოტიპური პროფილების შიდა ელექტრონულ ბიბლიოთეკას (CRA-FLC-ის BioNumerics-ის „RAPD PCR M13 FINGERPRINTING“ მონაცემთა ბაზა), რომელიც მოიცავს ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული იოგურტების და ყველების დედო კულტურების დნმ ანაბეჭდებს. ბიბლიოთეკაში არსებული შტამების და მაწვნის კულტურების ანაბეჭდებს შორის სარწმუნო მსგავსება არ გამოვლინდა, რაც მიუთითებს მაწვნიდან გამოყოფილი კულტურების უნიკალურ გენოტიპურ პროფილებზე.

შემდგომი 16S რ-რნმ იდენტიფიკაციისთვის შეირჩა 18 ბაქტერიული კულტურა, რომლებიც მოიცავდა უნიკალური RAPD პროფილის და მსხვილი UPGMA კლასტერების წარმომადგენელ შტამებს. შედეგად 5 შტამი იდენტიფიცირებულ იქნა

როგორც *Lb.delbrueckii*-ის წარმომადგენელი, ხოლო 6 შტამი - *St. thermophilus*, 2 შტამი - *Lb.rhamnosus*, 1 - *Lb.vaginalis*, 1 - *E.durance*, 1 - *E.faecium* და 2 - *E.faecalis*-ი აღმოჩნდა. დაწვრილებითი ინფორმაცია 16S რ-რნმ იდენტიფიცირებული კულტურების შესახებ მოცემულია სურათი 10.-ში.



სურათი 10. 16S რ-რნმ იდენტიფიცირებული მაწვნის კულტურები. ნაჩვენებია მათი მსგავსების გამომსახველი დენდროგრამა, NCBI-ს ბაზაში რეფერირებული შტამის 16S რ-რნმ ნუკლეოტიდური თანაწყობის რაოდენობა, ბაზაში მიმდევრობების შესაბამისობის პროცენტული გადაფარვა, პროცენტული იდენტურობა და რეფერირებული შტამების საიდენტიფიკაციო ნომერები.

შემდგომ საფეხურზე, სახეობა სპეციფიური პჯრ-ის მემკვიდრით, კოლექციის 43 შტამის იდენტიფიკაცია განხორციელდა. სახეობა სპეციფიური პჯრ-ისთვის შერჩეული კულტურები მოიცავდნენ უნიკლალური RAPD პროფილის და მცირე UPGMA კლასტერების წარმომადგენელ შტამებს. მათგან 23 შტამი იდენტიფიცირებულ იქნა როგორც *Lb. delbrueckii*-ის წარმომადგენელი, ხოლო 10 შტამი - *St. thermophilus*, 1 შტამი - *Lb. rhamnosus*, 2 - *E. durance*, 4 - *E. faecium* და 3 - *E. faecalis*-ის სახეობათა წარმომადგენლებად განისაზღვრენ. იდენტიფიცირებული შტამების სრული სია ნაჩვენებია ცხრილ 7.-ში.

შტამის ნომერი	ნიმუში	გვარი	სახეობა	იდენტიფიკაცია	ეტალონი
51153	Tsa1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51064	Axa1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51086	Axa3	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51121	Lis1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315

51131	Sag1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51077	Tso1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51051	Sen3	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51054	Sen5	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51330	Tbi1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51082	Axa2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51317	Sen1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
93	Maxi2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51199	Mil1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51100	Tel2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51047	Dma2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51097	Shal1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51127	Martyo1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51150	Tbi4	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51299	Kut2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51191	Kut2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51060	Asu1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51205	Sop1	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
84-2	St2	<i>Lactobacillus</i>	<i>delbrueckii</i>	SS PCR (For.DB1, Rev.SS1)	ATCC12315
51222	Axa2	<i>Enterococcus</i>	<i>durans</i>	SS PCR (For.DuHiF, Rev.DuR)	ATCC19432
51297	F4	<i>Enterococcus</i>	<i>durans</i>	SS PCR (For.DuHiF, Rev.DuR)	ATCC19432
51245	Tel3	<i>Enterococcus</i>	<i>faecalis</i>	SS PCR (For.EF-E1, Rev.EF-E2)	ATCC19433
51285	Nab1	<i>Enterococcus</i>	<i>faecalis</i>	SS PCR (For.EF-E1, Rev.EF-E2)	ATCC19433
51212	Axa1	<i>Enterococcus</i>	<i>faecalis</i>	SS PCR (For.EF-E1, Rev.EF-E2)	ATCC19433
51229	Axa3	<i>Enterococcus</i>	<i>faecium</i>	SS PCR (For.FM-F1, Rev.FM-F2)	ATCC19434
51197	MeM1	<i>Enterococcus</i>	<i>faecium</i>	SS PCR (For.FM-F1, Rev.FM-F2)	ATCC19434
51291	Gld4	<i>Enterococcus</i>	<i>faecium</i>	SS PCR (For.FM-F1, Rev.FM-F2)	ATCC19434
51298	Kut2	<i>Enterococcus</i>	<i>faecium</i>	SS PCR (For.FM-F1, Rev.FM-F2)	ATCC19434
51325	Sen2	<i>Lactobacillus</i>	<i>rhamnosus</i>	SS PCR (For.SS1, Rev.CA1)	ATCC7469
85-4	Ju1	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
51263	Lis2	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
102-3	Abast1	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
51313	Sop1	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
51311	San1	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
L-1	Rach2	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
H-1	Rach3	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
U-1	Rach4	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
103-3	Sva2	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258
83-4	St1	<i>Streptococcus</i>	<i>thermophilus</i>	SS PCR (For.LacZ-for, Rev.LacZ-rev)	ATCC19258

ცხრილი 7. სახეობა სპეციფიური პჯრ-ის მეშვეობით იდენტიფიცირებული შტამების ჩამონათვალი, გამოყენებული პრაიმერების და კონტროლ შტამების მითითებით.


RAPD-პჯრ-ის და შესაბამისი UPGMA დენდროგრამის აგების, კლასტერების წამომადგენლობითი შტამების 500აწ 16S რ-რნმ და სახეობა სპეციფიური პჯრ იდენტიფიკაციის შემდეგ, მოხდა მიღებული შედეგების კლასტერული

ექსტრაპოლაცია. შედეგად შესაძლებელი გახდა კოლექციის სრული სახეობრივი იდენტიფიკაცია.

89 შტამი მიჩნეულ იქნა - *Lb. delbrueckii*-ის წარმომადგენლად, 45 შტამი- *E. faecium*-ის, 25 - *E. durans*, 28 - *E. faecalis*, 16 - *St. thermophilus*, 6 - *Lb. rhamnosus* და 5 შტამი კი *Lb. vaginalis*-ს სახეობას მიეკუთვნა.

ცნობილია რომ, *Lb. delbrueckii* სახეობა მოიცავს სამ ქვესახეობას: *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* და *Lb. delbrueckii* subsp. *delbrueckii*. მათგან *lactis* და *bulgaricus* ხშირად გვხვდება რძის პროდუქტების მიკრობიოტებში (Delley and Germond 2002). ამიტომ შემდგომ საფეხურზე განხორციელდა *Lb. delbrueckii* წარმომადგენელი შტამების ქვესახეობრივი იდენტიფიკაცია *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* და *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის გამოსავლენად. ARDRA-ს მეთოდი გამოყენებულ იქნა *Lb. delbrueckii* -ს 16-ი კლასტერის წარმომადგენლობით კულტურებზე. შედეგად 69 შტამი იდენტიფიცირებულ იქნა როგორც *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*, ხოლო 20 შტამი *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ის ქვესახეობას განეკუთვნა. სურათ 11.-ზე მოცემულია ARDRA-ით მიღებული შედეგების დაწვრილებითი აღწერა.






სურათი 11. ენდონუკლეაზა Eco R1-ის გამოყენებით დაჭრილი 1500აწ 16s რ-რნმ მონაკვეთების საიდენტიფიკაციო მსგავსების დენდროგრამა. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის წამომადგენელი და კონტროლ შტამი *Lb. helveticus* ATCC15009 გვამლევს ბენდს 931აწ და 671აწ მონაკვეთებისთვის. *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*- გვამლევს ბენდს მხოლოდ 1656აწ მონაკვეთზე, ისევე როგორც დაუმუშავებელი *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* და დაუმუშავებელი საკონტროლო შტამი *Lb. helveticus*-ი.

იზოლატების დეტალური მოლეკულური იდენტიფიკაციის შემდეგ UPGMA დენდროგრამამ გვიჩვენა, რომ თითოეული სახეობა წარმოდგენილია გენოტიპურად განსხვავებული ბიოტიპებით. დადგინდა, რომ *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* წარმოდგენილია 5 ბიოტიპით, *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* წარმოდგენილია 11 ბიოტიპით, *E. faecium* – 3, *E. durans* - 2, *E. faecalis* - 4, *St. thermophilus* – 10, *Lb. rhamnosus* - 2 და *Lb. vaginalis* კი ერთი ბიოტიპით.


### 3.4. ბიომრავალფეროვნება

სინჯების შერჩევის ძალისხმევის მრუდის აგებისას, თვალსაჩინო გახდა, რომ სარწმუნო შედეგი, ანუ სინჯიდან გამოყოფილი სახეობების მრავალფეროვნების გაჯერება და მრუდის ასიმპტოტი, 27-ზე მეტი ნიმუშის შეგროვების შემთხვევაში სრულდება (დიაგრამა 2).




დიაგრამა 2. ნიმუშების შეგროვების ძალისხმევის ამსახველი მრუდი, რომელიც მიგვითითებს თუ რა რაოდენობის სინჯების მოპოვება იყო აუცილებელი სარწმუნო შერჩევის მისაღებად. მოცემულ შემთხვევაში შეგროვდა 72 ნიმუში, ხოლო მრუდი ასიმპტოტს 27-ე სინჯზე აღწევს. შესაბამისად, სახეობრივი მრავალფეროვნების შესაფასებლად, შეგროვებული ნიმუშების რაოდენობა დამაკმაყოფილებელია.

ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნიდან გამოყოფილი *Lb. delbrueckii*-ის, *E. faecium*, *E. durans*, *E. faecalis*, *St. thermophilus*, *Lb. rhamnosus* და *Lb. vaginalis*-ის გეოგრაფიული განაწილება ნაჩვენებია სურათ 12-ზე. რუკიდან ჩანს რომ სახეობათა განაწილება არ ექვემდებარება რაიმე სახის გეოგრაფიულ თუ რეგიონალურ დაყოფას.



სურათი 12. საქართველოს რეგიონალური რუკა. მაწვნის ნიმუშებიდან გამოყოფილი ბაქტერიული კულტურების გეოგრაფიული განაწილება სახეობების მიხედვით.

მაწვნის დედო კულტურების განაწილებასა და მათ გეოგრაფიულ ადგილ წამოშობას შორის კორელაცია არ დაფიქსირდა. დედო კულტურების სახეობრივი განაწილება შემთხვევითია. მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მაწვნის მიკრობიომი სტოქასტურია და სახეობრივი განაწილება ვარიირებს მაწვის ნიმუშების მიხედვით (იხილეთ დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. მაწვნის ნიმუშებში დაფიქსირებული ბაქტერიული სახეობები. სინჯებიდან იზოლირებული სახეობების რაოდენობა და განაწილება არათანაბარია. დიაგრამის y-ღერძზე

არსებული თითოეული წერტილი შეესაბამება მაწვნის ნიმუშს. ინდივიდუალური სინჯიდან იზოლირებული სახეობების მაქსიმალური რაოდენობა 5-ის ტოლია, ხოლო მინიმალური 1-ის.


ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნიდან მიღებული რძემჟავა ბაქტერიების სახეობათა განაწილება, რომელიც ეყრდნობა რიცხოვნობა სიმქიდროვის (სიმქიდროვის), დისპერსიის ხარისხს (პროცენტულ სიხშირეს) და გავრცელებას, მიუთითებს *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* -ის დომინანტურ პოზიციაზე. ხოლო შიდასახეობრივი მრავალფეროვნების მიხედვით, რომელიც მიუთითებს ბიოტიპების ფარდობით სიხშირეზე თითოეული სახეობისთვის, უმაღლეს ნიშნულს *St. thermopilus*-ი, *Lb. rhamnosus* და *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* სახეობები გვიჩვენებენ.

მაწვნიდან გამოყოფილი რძემჟავა კულტურის სახეობა	რიცხოვრივი სიმრავლე (სიმქიდროვი)	დისპერსიის ხარისხი (სიხშირე (%))	რაოდენობა ერთეულში (გავრცელება)	შიდასახეობრივი მრავალფეროვნება (ბიოტიპები (%))
<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>bulgaricus</i>	0,97	76,06	1,28	15,94
<i>E. faecium</i>	0,42	40,85	1,03	6,67
<i>E. faecalis</i>	0,30	29,58	1,00	14,29
<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>lactis</i>	0,28	28,17	1,00	25,00
<i>E. durance</i>	0,25	25,35	1,00	8,00
<i>St. thermopilus</i>	0,23	22,54	1,00	43,75
<i>Lb. rhamnosus</i>	0,08	8,45	1,00	33,33
<i>Lb. vaginalis</i>	0,07	7,04	1,00	14,3


ცხრილი 8. სინჯებში რძემჟავა ბაქტერიების სახეობათა განაწილება სიმქიდროვის, სიხშირის, გავრცელების და შიდასახეობრივი მრავალფეროვნების მაჩვენებლები.

### 3.4.1. ბიოტიპები

დადგინდა, რომ *Lactobacillus delbrueckii* მაწვნის დომინანტურ მიკრობიომში ორი ქვესახეობით არის წარმოდგენილი. მათ შორის *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ი 11 ბიოტიპით გვხვდება, საიდანაც 5 კულტურა უნიკალური RAPD პროფილით ხასიათდება (*Lb.93*, *Lb.51051*, *Lb.51330*, *Lb.51064*, *Lb.51153*).




სურათი 13. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის UPGMA დენდროგრამა, რომელიც ასახავს ქვესახეობის გენოტიპურ მსგავსებას.




სურათი 14. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება

*Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ი 5 ბიოტიპით არის წარმოდგენილი, საიდანაც მხოლოდ 1 კულტურა ხასიათდება უნიკალური RAPD პროფილით (*Lb.51191*)




სურათი 15. *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ის RAPD ანაბეჭდების UPGMA მსგავსების მატრიციდან აგებული ბიოტიპების ნათესაობის ხე.




სურათი 16. *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ის ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება

ექვსი სხვადასხვა მაწვნის სინჯიდან გამოყოფილი *Lb. rhamnosus*-ის ექვსი კულტურა მხოლოდ ორი ბიოტიპით არის წარმოდგენილი




სურათი 17. *Lb. rhamnosus*-ის ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება




სურათი 18. ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნის სინჯებიდან გამოყოფილი *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*, *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* და *Lb. rhamnosus*-ს ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება.

*St. thermophilus*-ის კულტურები, რომლებიც მაღალი ფარდობითი შიდასახეობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან, მოიცავენ 10 ბიოტიპს. მათ შორის 4 კულტურა ხასიათდება უნიკალური RAPD პროფილით (*St.51265*, *St.51263*, *St.51237*, *St.104-1*)



სურათი 19. *St. thermophilus*-ის RAPD ანაბეჭდების UPGMA მსგავსების მატრიციდან აგებული ბიოტიპების ნათესაობის ხე.







სურათი 20. *St. thermophilus*-ის ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება

*Enterococcus spp.* რძის ფერმენტირებულ პროდუქტებში უმეტეს წილად კონტამინანტად განიხილება. *E. durans*, *E. faecium* და *E. faecalis*, ისევე როგორც *Lb.vaginalis* ფერმენტირებულ საკვებ პროდუქტებში ტოქსიური ბიოგენური ამინების, ჰისტამინის და თიროზინის ბიოსინთეზის უნარი გააჩნიათ (Diaz *et al.* 2020). შესაბამისად მოცემულ ეტაპზე, მათ კონტამინანტების სახით განვიხილავთ.

ბიოტიპების კუთხით *Lb.vaginalis*-ი ერთი ვარიანტით არის წარმოდგენილი, *E. durans* - 2, *E. faecium* - 3, ხოლო *E. faecalis* – 4 ბიოტიპით. *Enterococcus spp.* სახეობრივი და ბიოტიპების განაწილება, ტრადიციულ მაწვნის სინჯებში შემთხვევით ხასიათს ატარებს.




სურათი 21. ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნის სინჯებიდან იზოლირებული *E. durans*-ის *E. faecium* და *E. faecalis* გეოგრაფიული განაწილება




სურათი 22. *E. durans*-ის *E. faecium* და *E. faecalis* ბიოტიპების გეოგრაფიული განაწილება

მაწვნიდან გამოყოფილი ყველა რძემჟავა ბაქტერიის სახეობა, *Lb. vaginalis*-ის გარდა წამოდგენილია ერთზე მეტი ბიოტიპით. ჯამში ექვს იდენტიფიცირებულ სახეობას შორის დაფიქსიდა 37 სხვადასხვა ბიოტიპი, რაც მაწვნის მიკრობიოტის მაღალ ბიომრავალფეროვნებაზე მიუთითებს.



დიაგრამა 4. ნაჩვენებია *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*, *E. faecium*, *E. durans*, *E. faecalis*, *St. thermophilus* და *Lb. rhamnosus*-ის ბიოტიპების სიხშირე. დიაგრამიდან ჩანს, რომ მოცემულ სიმრავლეში *Lb. bulgaricus* Biot. C, *Lb. Bulgaricus* Biot. M, *E. faecium* Biot. A, *E. durans* Biot. A, ყველაზე გავრცელებული ბიოტიპებია.


ტრადიციული წესით დამზადებული და კომერციული მაწვნებიდან იზოლირებული შტამების ბიოტიპების გამოვლენის საშუალებით, შესაძლებელი გახდა დედო კულტურების შედარება შტამების დნმ ანაბეჭდების დონეზე. დადგინდა, რომ *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის ბიოტიპები: *Lb. bulgaricus* Biot.C და *Lb. bulgaricus* Biot.L, *St. thermophilus* ის ბიოტიპი *S. therm. Biot.H*, ასევე *E. durans*-ის ბიოტიპი *E. durans Biot.A* და *E. faecium*-ს ბიოტიპი - *E. faecium Biot.B*-ის წარმომადგენელი შტამები გვხვდება როგორც ტრადიციული წესით დამზადებულ, ასევე კომერციულ მაწვნებში.



დიაგრამა 5. წარმოდგენილია ტრადიციული წესით დამზადებული და კომერციული მაწვნების დედო კულტურების ბიოტიპების განაწილება. პირველ ჰორიზონტალურ რიგში ნაჩვენებია ტრადიციულ მაწვნებში ნაპოვნი ბიოტიპების წარმომადგენელი შტამების რაოდენობა. ხოლო მეორე რიგში კი კომერციულ მაწვნებში არსებული ბიოტიპების წარმომადგენელი შტამების რაოდენობა. ტრადიციულ და კომერციულ მაწვნებში ბიოტიპების გადაფარვა მიუთითებს მათ შორის მიკრობიომის მიმოცვლაზე. მოცემულ შემთხვევაში 5 ბიოტიპის გადაფარვა დაფიქსირდა. ესენია: *Lb. bulgaricus* Biot.C, *Lb. bulgaricus* Biot.L, *S. therm. Biot.H*, *E. durans* Biot.A, *E. faecium* Biot.B.

### 3.5. ბიოტექნოლოგიური მახასიათებლები


ბიოტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლა შტამების შემცირებულ რაოდენობაზე განხორციელდა. მაწვნიდან გამოყოფილი რძემჟავა ბაქტერიების გენეტიკური დახასიათების საფუძველზე იდენტიფიცირებული, GRAS, QPS და პოტენციურად პრობოტიკული სახეობების ბიოტიპების და მათი გეოგრაფიული ადგილ-წარმოშობის განაწილების საფუძველზე, შერჩეულ იქნა 36 შტამი. მათ შორის *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის 13 შტამი: 102-1 (Biot. M), 51064 (Biot. B), 51072 (Biot. E), 51057 (Biot. L), 51113 (Biot. C), 85-1, 93 (Biot. M), 51051 (Biot. D), 51049 (Biot. H), 51110 (Biot. C), 51111 (Biot. F), 51330 (Biot.G), 51153 (Biot. A). *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ის 8 შტამი: 51060 (Biot. E), 51066 (Biot. E), 51147 (Biot. B), 51191 (Biot. A), 51143 (Biot. B), 84-2 (Biot. G), 51333 (Biot. F), 51157 (Biot. B). ასევე *St. thermophilus*-ის 10 შტამი: 102-3 (Biot. E), 85-4 (Biot. C), 51263 (Biot. D), 51265 (Biot. A), 51228 (Biot. E), T-1 (Biot. F), 51208 (Biot. C), 103-3 (Biot. H), 51237 (Biot. J), 51324 (Biot. F) და *Lb. rhamnosus*-ის 5 შტამი: 51152 (Biot. B), 51154 (Biot. B), 51136 (Biot. B), 51108 (Biot. A), 51105 (Biot. A).



სურათი 23. საქართველოს ლანდშაფტური რუკა. ნაჩვენებია ბიოტექნოლოგიური მახასიათებლების შესასწავლად შერჩეული სახეობების ადგილ-წარმოშობის გეოგრაფიული განაწილება. ბიომრავალფეროვნების სრული სპექტრის მოსაცავად, შერჩეულ იქნა ყველა ბიოტიპის წარმომადგენლობითი შტამი.

### 3.5.1. აციდოფიკაციის სიჩქარე

შტამების მიერ ლაქტოზას ფერმენტაციის სიჩქარის შეფასება რძის მჟავიანობის განსაზღვრის მეთოდით განხორციელდა. რძის აციდოფიკაციის პროცესში, *St. thermophilus*-ი განიხილება როგორც წამყვანი მიკროორგანიზმი, თუმცა სიმბიოტური *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* და *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* -ი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროცესის წარმართვაში. ამიტომ აციდოფიკაციის სიჩქარე სამივე სახეობის წარმომადგენელი შტამებისთვის განისაზღვრა.




დიაგრამა 6. *St. thermophilus*-ის 10 შტამის აციდოფიკაციის სიჩქარის ასმახველი მრუდი. როგორც დიაგრამიდან ჩანს, *St. thermophilus* 102-3 -მა pH 4.6 ფერმენტაციის მეცხრე საათზე გადალახა, *St. thermophilus* 51237-მა 9.10 სთ-ის შემდეგ, *St. thermophilus* 51228-10.44 სთ, *St. thermophilus* T-1 ზღავრი 10.48სთ-ზე გადალახა, ხოლო *St. thermophilus* 51265 კი 11.44სთ-ზე.

დარჩენილმა ხუთმა შტამმა (51208, 51263, 103-3, 85-4, 51324), pH 4.6 მიღწევა 12-სთ-ზე ხანგრძლივი ინკუბაციის შემდეგ შეძლეს, რაც მათ სუსტ აციდოფიკაციის უნარზე მიუთითებს.


შტამი	$V_{max}$
<i>St.themophilus</i> 51263	2,00
<i>St.themophilus</i> 85-4	1,71
<i>St.themophilus</i> 51228	1,69
<i>St.themophilus</i> T-1	1,61
<i>St.themophilus</i> 51265	1,61
<i>St.themophilus</i> 51237	1,42
<i>St.themophilus</i> 102-3	1,41
<i>St.themophilus</i> 103-3	1,18
<i>St.themophilus</i> 51208	1,16
<i>St.themophilus</i> 51324	0,48

ცხრილი 9. *St.themophilus*-ის აციდოფიკაციის  $V_{max}$  მაჩვენებლები. სწრაფი აციდოფიკაციის უნარის მქონე შტამების 102-3 და 51237  $V_{max}$  -ი ნაკლებია ნელი ფერმენტაციის შტამების 51263 და 85-4 მაჩვენებლებზე და არ კორელირებს აციდოფიკაციის სიჩქარესთან.




დიაგრამა 7. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის შერჩეული 13 შტამის აციდოფიკაციის სიჩქარის ამსახველი მრუდი. როგორც დიაგრამიდან ჩანს, *Lb.delbrueckii* subsp. *bulgaricus* 51049-მა pH 4.6 ფერმენტაციის მეექვსე საათზე გადალახა, *Lb.delbrueckii* subsp. *bulgaricus* 51111-მა 7.18 სთ-ის შემდეგ, *Lb.delbrueckii* subsp. *bulgaricus* 51110 - 8.28 სთ, ხოლო 51064, 51051, 51330, 51330 კი მათე საათის მიღწევამდე. *Lb.delbrueckii* subsp. *bulgaricus* 85-1 pH 4.6 მეთერთმეტე საათზე

მიაღწია, ხოლო დარჩენილმა ექსვმა კულტურამ, pH 4.6 მიღწევა 12-სთ-ზე ხანგრძლივი ინკუბაციის შემდეგ შეძლეს, რაც მათ სუსტ აციდოფიკაციის უნარზე მიუთითებს.




დიაგრამა 8. *Lb.delbrueckii subsp. lactis*-ის 10 შტამის აციდოფიკაციის სიჩქარის ასმახველი მრუდი. როგორც დიაგრამიდან ჩანს, *Lb.delbrueckii subsp. lactis* 51191-მა pH 4.6 ფერმენტაციის 5.24 სთ-ზე გადალახა, *Lb.delbrueckii subsp. lactis* 51333-მა 9.20 სთ-ის შემდეგ, ხოლო *Lb.delbrueckii subsp. lactis* 51157 ზღვარი მეშვიდე საათზე გადალახა. დარჩენილმა სამმა შტამმა, pH 4.6 მიღწევა 12-სთ-ზე ხანგრძლივი ინკუბაციის შემდეგ შეძლეს, რაც მათ სუსტ აციდოფიკაციის უნარზე მიუთითებს. *Lb.delbrueckii subsp. lactis* 51060 და 51066 აციდოფიკაციის უნარი არ გამოავლინეს.



დიაგრამა 9. სწრაფი აციდოფიკაციის უნარის მქონე შტამები, რომელთაც მეტაბოლური აქტივობის შედეგად რძეში კაზეინის იზოლექტრული წერტილი (pH 4.6) 10-სთ-ზე ნაკლებ დროში მიიღწევა. აღსანიშნავია რომ ყველაზე სწრაფი აციდოფიკაციის სიჩქარე არა სტრეპტოკოკებმა, არამედ *Lb.delbrueckii* subsp. *lactis* 51191 გამოავლინა, რაც მაწვნიდან გამოყოფილი *Lb.delbrueckii* subsp. *lactis*-ის შტამის უნიკალური მახასიათებელია.

### 3.5.2. პროტოლიზი


ბაქტერიული შტამების პროტეოლიზური აქტივობა განისაზღვრა O-ფთალდიალდეჰიდის მეთოდით. CRA-FLC-ის კოლექციაში არსებული რძემჟავა ბაქტერიები, გამოყენებულ იქნა პროტეოლიზის უნარის რეფერირებისთვის. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის წარმომადგენელმა შტამებმა აჩვენეს კაზეინის დაშლის მაღალი უნარიანობა. მათ შორის *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* 51113 გამოავლინა ყველაზე მაღალი აქტივობა (780.7 მკგ/მლ).




დიაგრამა 10. მაწვნიდან იზოლირებული და CRA-FLC-ს კოლექციაში არსებული *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის შტამების კაზეინის პროტეოლიზის უნარის მაჩვენებელი დიაგრამა.




კაზეინის დაშლის უნარი გამოსახულია როგორც თავისუფალი α-ამინო ჯგუფების რაოდენობა მკგ/მლ-ში.



დიაგრამა 11. მაწვნიდან იზოლირებული და CRA-FLC-ს კოლექციაში არებული *Lb. delbrueckii subsp. lactis*-ის შტამების კაზეინის პროტეოლიზის უნარის მაჩვენებელი დიაგრამა. კაზეინის დაშლის უნარი გამოსახულია როგორც თავისუფალი α-ამინო ჯგუფების რაოდენობა მკგ/მლ-ში.




დიაგრამა 12. მაწვნიდან იზოლირებული და CRA-FLC-ს კოლექციაში არებული *St. themophilus*-ის შტამების კაზეინის პროტეოლიზის უნარის მაჩვენებელი დიაგრამა. კაზეინის დაშლის უნარი გამოსახულია როგორც თავისუფალი α-ამინო ჯგუფების რაოდენობა მკგ/მლ-ში.



დიაგრამა 13. მაწვნიდან იზოლირებული და CRA-FLC-ს კოლექციაში არებული *Lb. rhamnosus*-ის შტამების კაზეინის პროტეოლიზის უნარის მაჩვენებელი დიაგრამა. კაზეინის დაშლის უნარი გამოსახულია როგორც თავისუფალი α-ამინო ჯგუფების რაოდენობა მკგ/მლ-ში.

### 3.5.3. ვისკოზურობა

*St. thermophilus* მეტაბოლური აქტივობის შედეგად მიღებული, რძის კოლტის კონსისტენცია შეფასდა მისი ვისკოზურობის მაჩვენებლის მიხედვით.



დიაგრამა 14. გაზომილი რძის ვისკოზურობის მაჩვენებელი ვარირებს 400 და 500 mPa/s შორის, რაც ზომიერი ვისკოზურობის მაჩვენებელია. შტამი *St. thermophilus* 51228 საშუალებით შედედებულმა რძემ ყველაზე მაღალი ვისკოზურობის მაჩვენებელი გამოავლინა.


### 3.6. ფაგი-ბაქტერიის ურთიერთქმედება

პროფაგის ინდუქციის ტესტი ჩატარდა ბიოტექნოლოგიური პოტენციალის შეფასებისთვის შერჩეულ 36 შტამზე, ხოლო ფაგორეზისტენტობა დადგინდა აციდოფიკაციის პროცესის წამყვანი სახეობებისთვის: *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* და *St. thermophilus*.

*Enterococcus spp.* განიხილება როგორც კონტამინანტური და პოტენციურად სახიფათო მიკროორგანიზმები. ამიტომ დადგინდა მაწვნიდან გამოყოფილი *E. faecalis*, *E. faecium* და *E. durans*-ის კულტურების ფაგომგრძობელობა და რეზისტენტული შტამების მიმართ გამოყოფილ იქნა *de novo* ბაქტერიოფაგები.

#### 3.6.1. დედო კულტურების ლიზოგენურობა და ფაგორეზისტენტობა

ექსპერიმენტისთვის გამოყენებულ იქნა CRA-FLC-ის მიერ მოწოდებული *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* და *St. thermophilus* სპეციფიური ლითიური ბაქტერიოფაგები. ოცდათერთმეტივე საცდელმა შტამმა შესაბამისი ლითიური ბაქტერიოფაგების მიმართ სრული რეზისტენტობა გამოავლინეს.




სურათი 24. ფაგორეზისტენტობის ტესტი. *კონტროლი*: მარცხენა სინჯარა - ფაგ-ინფიცირებული პატრონი შტამი, ნაჩვენებია 18სთ-ში მიღწეული სტაბილური ლიზისის სურათი. მარჯვენა სინჯარა - შტამის 18სთ-იანი ზრდა ფაგის დამატების გარეშე. *ცდა*: მარცხენა სინჯარა - ფაგ-ინფიცირებული ტესტ-შტამის 18სთ-იანი ინკუბაცია ლიზისის გარეშე. მარჯვენა სინჯარა - ტესტ-შტამის 18სთ -იანი ზრდა ფაგის დამატების გარეშე.

პროფაგის ინდუქციის ტესტი ჩატარდა ბიოტექნოლოგიური პოტენციალის შესწავლისთვის შერჩეულ 36 შტამზე. (*Lb rhamnosus* 51136, 51105, 51152, 51154, 51108; *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* 102-1, 51064, 51072, 51057, 51113, 85-1, 93, 51051, 51049, 51110, 51111, 51330, 51153; *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* 51060, 51066, 51147, 51191, 51143, 84-2, 51333, 51157; *St. thermophilus* 102-3, 85-4, 51263, 51265, 51228, T-1, 51208, 103-3, 51237, 51324). ინდიკატორულ კულტურებად გამოყენებულ იქნა თავდ ტესტ-კულტურები. საცდელ შტამებში პროცედურის არცერთ ეტაპზე პროფაგის ინდუქცია არ გამოვლინდა.

### 3.6.2. მაწვნიდან გამოყოფილი *Enterococcus spp.* ფაგომგრძობელობა


პირველ ეტაპზე მაწვნიდან გამოყოფილი *E. faecium*-ის 45 შტამის, *E. faecalis*-ის 28 და *E. durans*-ის 25 შტამის ფაგომგრძობელობა განსაზღვრული იქნა *vB\_GEC-EfM\_9*, *vB\_GEC-EfM\_4* მონოფაგების და INTESTI/R-022601#76(2017), INTESTI/R-022601#86(2018) ფაგური პრეპარატების მიმართ. შედეგად ოთხივე პრეპარატის მიმართ სრული რეზისტენტობა *E. faecalis*-ის შტამების 66.67%, *E. durans*-ის 52.38% და *E. faecium* - 26% გამოავლინა. დეტალური ინფორმაცია თითოეული პრეპარატის მიმართ მგრძობელობაზე მოცემულია დიაგრამა 15-ზე.



დიაგრამა 15. მაწვნიდან გამოყოფილი *E. faecium*, *E. faecalis* და *E. durans* კულტურების პროცენტული ფაგორეზისტენტობა *vB\_GEC-EfM\_9*, *vB\_GEC-EfM\_4*, INTESTI/R-022601#76 და INTESTI/R-022601#86(2018) მიმართ.

მეორე ეტაპისთვის *de novo* ბაქტერიოფაგის გამოსაყოფად შერჩეული იქნა თითოეული სახეობის წარმომადგენელი 5 რეზისტენტული შტამი (სულ 15 კულტურა). გამდიდრების მეთოდში გამოყენებამდე, მოცემული შტამების ლიზოგენურობის გამორიცხვა, Mitomycin C-ით ინდუქციის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა.

გამდიდრების მეთოდისთვის გამოყენებული იქნა 2017 წელს მოპოვებული სამი მდინარის წყლის სინჯი: მტკვარი (თბილისი), რიონი (ქუთაისი), იორდანე (ისრაელი), ასევე ტბის წყლის სინჯი (თბილისი), შავი ზღვის წყლის სინჯი (ბათუმი) და 9 თვის ჯანმრთელი ჩვილის განავალი. შედეგად გამოყოფილი, გასუფთავებული, კონცენტრირებული და ტრანსმისიური ელექტრონული მიკროსკოპით დახასიათებული იქნა შემდეგ ხუთი ბაქტერიოფაგი: 1φDielo – Siphoviridae, წყარო: მდინარე რიონი, პატრონი შტამი: *E. faecalis* 170; 2φElibo – Myoviridae, წყარო: განავალი, პატრონი უჯრედი: *E. faecium* 229; 3φBuba-Myoviridae წყარო: მდინარე რიონი, პატრონი შტამი: *E. faecium* 291; 4φSazandari და 5φMuxambazi ოჯახი: Siphoviridae, წყარო: მდინარე რიონი, პატრონი შტამი: *E. faecium* 229. მიღებული ბაქტერიოფაგების მორფოლოგია ნაჩვენებია სურათ 25-ზე.




სურათი 25. კვლევის ფარგლებში გამოყოფილი ახალი ბაქტერიოფაგების ტრანსმისიური ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით ვიზუალიზირებული ვირიონების მორფოლოგია.

მიღებული ფაგების მიერ პატრონი უჯრედის ლიზისის სტაბილურობის შეფასებამ აჩვენა, რომ ი.მ. 0.1 პირობებში 5φMuxambazi 24სთ-ს განმავლობაში ინარჩუნებს თავისი პატრონი კულტურის *E. faecium* 229 სრულ (გამჭვირვალე არე) ლიზისს.

დანარჩენმა ოთხმა ტესტ ფაგმა სტაბილური ლიზისი ინკუბაციის არცერთ ეტაპზე არ აჩვენა.


მოქმედების ტიპის მიხედვით *vB\_GEC-EfM\_9*, *vB\_GEC-EfM\_4*, *INTESTI#76*, *INTESTI#86*, *1φDielo*, *2φElibo*, *3φBuba*, *4φSazandari* და *5φMuxambazi* აქტივობა ნაჩვენებია დიაგრამა 16-ზე. დიაგრამიდან ჩანს რომ გამოყენებული ფაგების მიმართ შტამების უმრავლესობამ რეზისტენტობა გამოავლინა, სადაც რეზისტენტობის უმაღლესი მაჩვენებელი 89.8% *2φElibo* მიმართ დადგინდა. ყველაზე აქტიური მოქმედება *vB\_GEC-EfM\_4* აჩვენა, რომლის მიმართაც რეზისტენტობა შტამების მხოლოდ 51.02%-ში გამოვლინდა, არასრული ლიზისი 17.35%-ზე დაფიქსირდა, ხოლო სრული ლიზისი შტამების მხოლოდ 1.02%-ზე დაფიქსირდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ახლად გამოყოფილმა ფაგებმა: *3φBuba*, *4φSazandari* და *5φMuxambazi* სრული ლიზისი მაწვნიდან გამოყოფილი ტესტ შტამების >8.16%-ზე აჩვენა.



დიაგრამა 16. ნაჩვენებია მაწვნიდან გამოყოფილი *Enterococcus spp.*-ს მიმართ გამოყენებული ფაგების მოქმედების ტიპების განაწილება. 0 - ფაგის მოქმედების ზონაზე აღინიშნება უწყვეტი ბაქტერიული ნაზარდი, მოქმედების უბანში არ ფიქსირდება ბაქტერიული ზრდის შეფერხების ნიშნები (რეზისტენტობა); 1 - გამოხატული ფაგური კოლონიები ბაქტერიული შტამის ნაზარდზე (მგრძნობიარე); 2 - მოქმედების უბანზე აღინიშნება მეორადი ბაქტერიული ზრდა

და ცალკეული ბაქტერიული კოლონიების ფორმირება (მგრძნობიარე); 3 - არასრული ლიზისი, მოქმედების ზონა დაბურულია, უბანზე გამოხატულია მეორადი ბაქტერიული ზრდა (მგრძნობიარე); 4- ნახევრადსრული ლიზისი, მოქმედების უბანზე აღინიშნება რეზისტენტული ბაქტერიული კოლონიების ზრდა (მგრძნობიარე); 5-სრული ლიზისი, ფაგის მოქმედების ზონა გამჭვირვალეა (მგრძნობიარე).


მაწვნიდან გამოყოფილი *E. faecium* და *E. durans* კულტურების მიმართ ყველაზე მაღალი აქტივობა შესაბამისად 74% და 33.4%, გ. ელიავას სახ. ინსტიტუტის კოლექციიდან მიღებულმა *vB\_GEC-EfM\_4* მონოფაგმა აჩვენა, ხოლო *E. faecalis*-ის მიმართ ყველაზე ეფექტური (33.3%) ახლად იზოლირებული *1φDielo* აღმოჩნდა. სამივე სახეობის წარმომადგენელი შტამების მგრძნობელობის პროცენტულობა თითოეული გამოყენებული ფაგის მიმართ ნაჩვენებია დიაგრამა 17-ზე.



დიაგრამა 17. გ. ელიავას სახ. ინსტიტუტის კოლექციიდან მიღებული ორი მონოფაგის, მრავალკომპონენტური ფაგური პრეპარატების და ახლად გამოყოფილი ფაგების აქტივობა მაწვნიდან გამოყოფილ *E. faecalis*, *E. faecium* და *E. durans* შტამებზე. ნაჩვენებია თითოეული სახეობის მგრძნობიარე შტამების პროცენტული რაოდენობა.


*De novo* მიღებული ბაქტერიოფაგების აქტივობა აგრეთვე შეფასებულ იქნა გ.ელიავას სახ. ინსტიტუტის კოლექციიდან მიღებულ *Enterococcus spp.* ორმოცდაექვს კლინიკურ იზოლატზე. *1φDielo*, *3φBuba*, და *4φSazandari*-მა მაწვნიდან გამოყოფილ კულტურებთან შედარებით მაღალი აქტივობა აჩვენეს კლინიკური იზოლატების მიმართ, შესაბამისად 21.73%, 32.6% და 34.78% კლინიკური და 15.11%, 12.79% და

13.95% აქტივობით მაწვნიდან გამოყოფილი კულტურების მიმართ. მონაცემები ნაჩვენებია დიაგრამა 18-ზე.



დიაგრამა 18. ახლად გამოყოფილი ბაქტერიოფაგების აქტივობა მაწვნიდან გამოყოფილ და *Enterococcus spp.* კლინიკურ იზოლატებზე.


აღსანიშნავია, რომ *Enterococcus spp.* კლინიკურმა იზოლატებმა ფაგომგრძობელობის უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოავლინეს.



დიაგრამა 19. მარცხნივ - კლინიკური *Enterococcus spp.* იზოლატების ფაგომგრძობელობის მაჩვენებელი, მარჯვნივ - მაწვნიდან გამოყოფილი *Enterococcus spp.* ფაგომგრძობელობის პროცენტულობა.



დიაგრამა 20-ზე ნაჩვენებია ახლად გამოყოფილი ბაქტერიოფაგების აქტივობის ინდექსი, რაც გულისხმობს მოქმედების სიმძლავრის მიხედვით მინიჭებული ქულის საფუძველზე, ფაგის ფარდობითი აქტივობის დადგენილ ინდექსს. მოცემული აქტივობის ინდექსი ეფუძნება 144 შტამის (46 კლინიკური + 98 მაწვნის იზოლატი) სკრინინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს. ასევე მოცემულია შტამების მგრძობელობის პროცენტული მაჩვენებელი და ფაგოგრამა. მოცემული ფაგოგრამა წარმოადგენს ფაგების ლიზისური აქტივობის ილუსტრაციას თითოეული ტესტ-შტამის მიმართ. საიდანაც ფაგების განსხვავებული აქტივობა ჩანს. რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მორფოლოგიურად მსგავსი, საერთო პატრონი შტამის და გამოყოფის წყაროს მქონე ბაქტერიოფაგები *4φSazandari* და *5φMuxambazi* ნამდვილად განსხვავებული ფაგური კლონებია.



დიაგრამა 20. მიღებული ბაქტერიოფაგების აქტივობის ინდექსი, კლინიკური და მაწვნიდან გამოყოფილი შტამების ჯამური პროცენტული მგრძობელობა და ფაგოგრამა. ფაგოგრამაზე გამოყენებული ბაქტერიოფაგების აქტივობა ილუსტრირებულია შემდეგი ფერების სქემის მიხედვით:

მოქმედება	5	4	3	2	1	0
ფერი/აღნიშვნა						

სადაც: 0 - ფაგის მოქმედების ზონაზე აღინიშნება უწყვეტი ბაქტერიული ნაზარდი, მოქმედების უბანში არ ფიქსირდება ბაქტერიული ზრდის შეფერხების ნიშნები (რეზისტენტობა); 1 - გამოხატული ფაგური კოლონიები ბაქტერიული შტამის ნაზარდზე (მგრძობიარე); 2 - მოქმედების უბანზე აღინიშნება მეორადი ბაქტერიული ზრდა და ცალკეული ბაქტერიული კოლონიების ფორმირება (მგრძობიარე); 3 - არასრული ლიზისი, მოქმედების ზონა დაბურულია, უბანზე გამოხატულია მეორადი ბაქტერიული ზრდა (მგრძობიარე); 4- ნახევრადსრული ლიზისი, მოქმედების უბანზე აღინიშნება რეზისტენტული ბაქტერიული კოლონიების ზრდა (მგრძობიარე); 5-სრული ლიზისი, ფაგის მოქმედების ზონა გამჭვირვალეა (მგრძობიარე).

### 3.7. პრობიოტიკური პოტენციალი

პრობიოტიკური პოტენციალის შესასწავლად შერჩეულ იქნა *Lb. rhamnosus*-ის სახეობის წამომადგენელი ხუთი შტამი: *Lb rhamnosus* 51136, 51105, 51152, 51154, 51108.

#### 3.7.1. ნაღვლის მარილების მიმართ მგრძნობელობა


*Lb. rhamnosus*-ის შტამებმა ნაღვლის მარილის მიმართ საშუალო მგრძნობელობა გამოავლინეს. მონაცემები აღწერილია ცხრილ 10-ში. შტამი 51154 ყველაზე მგრძნობიარე აღმოჩნდა, 18.24%-იანი ზრდით 0.5% ნაღვლის შემცველ არეში. ყველაზე რეზისტენტული კი შტამი 51108 გამოდგა, რომელიც 1% ნაღვლის შემცველ არეში 38.36%-იანი ზრდას აჩვენებს. კონტროლთან შედარებით, (CRA-FLC-ის კოლექციის პრობიოტიკული შტამი *Lb. plantarum* 790) მაწვნიდან გამოყოფილმა *Lb. rhamnosus*-ის შტამებმა, გამოავლინეს ნაღვლის მიმართ მდგრადი გამძლეობა.

შტამები	% ზრდა A <sub>560</sub>		
	<i>Bile</i> - 0.3%	<i>Bile</i> - 0.5%	<i>Bile</i> - 1%
<i>Lb. rhamnosus</i> 51136	26,12	24,68	24,94
<i>Lb. rhamnosus</i> 51105	24,70	22,02	23,45
<i>Lb. rhamnosus</i> 51152	24,80	23,61	27,86
<i>Lb. rhamnosus</i> 51154	20,10	18,24	18,62
<i>Lb. rhamnosus</i> 51108	46,66	37,81	38,36
<i>Lb. plantarum</i> 790	16,69	11,88	9,43

ცხრილი 10. *Lb. rhamnosus*-ის შტამების ნაღვლის მიმართ გამძლეობის ამსახველი ცხრილი. ნაჩვენებია შტამების სიცოცხლისუნარიანობა ნაღვლის 0.3%, 0.5% და 1% შემცველ MRS თხევად საკვებ არეში. მონაცემები ასახავს შესაბამის კონტროლებთან მიმართებაში რეზისტენტულობის ზრდის პროცენტულ მაჩვენებელს.

#### 3.7.2. ნაღვლის მარილების დაშლა


ნაღვლის მარილების: ტეუროდეოქსიქლორატის მჟავის და გლიკოდეოქსიქლორატის მჟავის დაშლის უნარი ტესტ შტამებმა არ გამოავლინეს. ხუთივე შტამის ზრდა დაითრგუნა ტეუროდეოქსიქლორატის მჟავის თანაობისას, ხოლო გლიკოდეოქსიქლორატის მჟავის შტამების ზრდაზე გავლენა არ მოუხდენია. (იხილეთ სურათი 26).



სურათი 26. ტეუროდეოქსიქლორატის მჟავის და გლიკოდეოქსიქლორატის მჟავის დაშლის უნარის განსაზღვრა. A, B და C - დადებითი კონტროლი, D,E,F და G - ტესტ შტამების ზრდის ამსახველი სურათი. ტეუროდეოქსიქლორატის მჟავა თრგუნავს ხუთივე შტამის ზრდას, ხოლო გლიკოდეოქსიქლორატის მჟავის შემცველ ნიადაგზე ტესტ შტამების ზრდა არ იზღუდება.

### 3.7.3. ჰიდროფობულობა


შტამის უჯრედულ კედელზე ნახშირწყალბადების ადჰეზია შეფასებულ იქნა როგორც შტამის ჰიდროფობულობა (%H). ხუთივე ტესტ შტამმა აჩვენა ჰიდროფობულობის მაღალი ხარისხი. მაჩვენებლები ვარიირებენ 92.51% და 87.61% შორის, სადაც პრობიოტიკულმა კონტროლ შტამმა აჩვენა მხოლოდ 30.2% მაჩვენებელი.



დიაგრამა 21. ტესტ შტამების და კონტროლ შტამის ჰიდროფობულობის მაჩვენებლები.

### 3.7.4. საფუვრის უჯრედზე აგლუტინაცია

ბაქტერიული შტამების მანოზა-სპეციფიური ადჰეზიის უნარის შეფასება *Sacharomyces cerevisiae*-ს უჯრედების აგლუტინაციის მთოდის გამოყენებით განხორციელდა. ხუთივე ტესტ შტამმა გამოავლინა მანოზა-სპეციფიური ადჰეზიის უნარი.



სურათი 27. *Lb. rhamnosus* 51108 და პრობიოტიკული კონტროლ შტამის - *Lb. plantarum* 790 მანოზა-სპეციფიური საფუვრის აგლუტინაცია. სინათლის-ფაზის მიკროსკოპია, გადიდება X40 (Axioskop 40 HBO 50/AC, ZEISS).

### 3.8. მაწვნის დედოს კონსტრუირება

მიღებული მონაცემების შეჯამების შემდეგ, საცდელი მაწვნის დედოს კონსტრუირებისთვის შერჩეულ იქნა 14 კულტურა, მათ შორის *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის შემდეგი შტამები: 51110, 51113, 51111; *Lb. delbrueckii* subsp. *lactis* : 51333, 51157, 51191; *St. thermophilus* : 51265, 85-4, T-1 და *Lb. rhamnosus*-ის ხუთი შტამი: 51136, 51105, 51152, 51154, 51108.

შტამის ნომერი	51110	51113	102-1	51333	51191	51157	T-1	85-4	51265	51152	51154	51136	51108	51105
სახეობა	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>bulgaricus</i>	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>bulgaricus</i>	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>bulgaricus</i>	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>lactis</i>	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>lactis</i>	<i>Lb. delbrueckii</i> subsp. <i>lactis</i>	<i>S.thermophilus</i>	<i>S.thermophilus</i>	<i>S.thermophilus</i>	<i>Lb. rhamnosus</i>	<i>Lb. rhamnosus</i>	<i>Lb. rhamnosus</i>	<i>Lb. rhamnosus</i>	<i>Lb. rhamnosus</i>
ბიოტიპი	<i>Lb. bulgaricus</i> Biot. C	<i>Lb. bulgaricus</i> Biot. C	<i>Lb. bulgaricus</i> Biot. F	<i>Lb. lactis</i> Biot. F	<i>Lb. lactis</i> Biot. A	<i>Lb. lactis</i> Biot. B	<i>S. therm. Biot. F</i>	<i>S. therm. Biot. C</i>	<i>S. therm. Biot. A</i>	<i>Lb. rham. Biot. B</i>	<i>Lb. rham. Biot. B</i>	<i>Lb. rham. Biot. B</i>	<i>Lb. rham. Biot. A</i>	<i>Lb. rham. Biot. A</i>
წარმოების ადგილი	მესტია	გორი	აბასთუმანი	ტაბახმულა	ქუთაისი	თელავი	ონი	ჯუთა	მარტყოფი	დმანისი	გომორი	სენაკი	მესტია	თელავი
მოპოვების თარიღი	2014	2014	2105	2014	2014	2013	2015	2015	2014	2013	2013	2013	2014	2014
პროტეოლიზი (ფა ა სამაიო)	492.87	780.69	690.02	155.91	70.64	259.33	0.00	80.50	42.67	63.31	140.02	43.97	165.20	56.58
ფაგო-რეზისტენტობა	ΦLP93042, ΦLP93050, ΦBYM	ΦLP93042, ΦLP93050, ΦBYM	ΦLP93042, ΦLP93050, ΦBYM	ΦPS9, ΦPS17, ΦAG14, ΦAG8, ΦA113, ΦA19	ΦPS9, ΦPS17, ΦAG14, ΦAG8, ΦA113, ΦA19	ΦPS9, ΦPS17, ΦAG14, ΦAG8, ΦA113, ΦA19	Φ33, Φ32, Φ592/2, Φ593/2, Φ46	Φ33, Φ32, Φ592/2, Φ593/2, Φ46	Φ33, Φ32, Φ592/2, Φ593/2, Φ46	n/d	n/d	n/d	n/d	n/d
აქტივობის სიჩქარე	8.28სთ Vmax=1.0	>18სთ Vmax=4.0	>18სთ Vmax=0.9	5.24სთ Vmax=0.925	9.20სთ Vmax=1.146	8.0სთ Vmax=n/d	10.46სთ Vmax=1.6	14.58სთ Vmax=1.714	11.42სთ Vmax=1.609	n/d	n/d	n/d	n/d	n/d
მიკროსკოპია														


ცხრილი 11. მაწვნის დედოს კონსტრუირებისთვის შერჩეული შტამების მონაცემთა ცხრილი.

ბაქტერიულ ნაზარდზე დაწვეთების გზით ანტაგონისტური აქტივობა არცერთი შტამის მიერ არ გამოვლინდა.

კომბინაციების აციდოფიკაციის სიჩქარის დასადგენად, სწაყის ეტაპზე, განხორციელდა სტერეპტოკოკული შტამების შეწყვილება *Lb. bulgaricus* subsp. *bulgaricus*-ის და *Lb. bulgaricus* subsp. *lactis*-ის შერჩეულ კულტურებთან. შესაბამისად შედგა 18 კომბინაცია. განისაზღვრა დაწყვილებული კულტურების აციდოფიკაციის სიჩქარე. კულტურათა წყვილები, რომელთაც pH 4.6 გადალახეს ფერმენტაციის მესამე საათზე, შერჩეულ იქნა შემდგომი მრავაკლომპონენტური კომბინაციების საცდელად. ამ პრინციპით შერჩეულ კომბინაციებს: *St. thermophilus* 51265/*Lb. bulgaricus* subsp. *bulgaricus* 51110 და *St. thermophilus* 51265/*Lb. bulgaricus* subsp. *lactis* 51333 დაემატა *Lb. rhamnosus*-ის შტამები. შესაბამისად მიღებულ იქნა 11 სამ-კომპონენტური და 5 ოთხ-კომპონენტური დედო. სტარტერის შერჩევის სქემა ნაჩვენებია სურათ 28-ზე. აღსანიშნავია, რომ მიღებული 16 კომბინაციიდან, *Lb. bulgaricus* subsp. *lactis* 51133-ის შემცველმა ყველა ვარიანტმა 44°C-ზე, 2-3 საათიანი ფერმენტაციის შემდეგ წარმოქმნა მყარი კოლტი.

ამავდროულად მიღებული 16 კომბინაცია შეფასდა ორგანოლეპტიკური და სენსორული ნიშან-თვისებების მიხედვით. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის შემცველმა კომბინაციებმა გამოავლინეს მეტწილად ტკბილი და რძის მსგავსი სურნელი და გემო, კოლტის კონსისტენცია საშუალოდ მყარი, სუსტი სინერეჯით. ხოლო *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*-ის შემცველმა კომბინაციებმა მეტწილად მაწვნის მსგავსი ორგანოლეპტიკური თვისებების გამოავლინეს. შესაბამისად, სწრაფი

აციდოფიკაციის უნარი მქონე და ორგანოლეპტიკურად შესაფერისი, სამი კომპონენის შემცველი სტარტერი: *St. thermophilus* 51265/*Lb. delbrueckii* subsp. *lactis* 51333/*Lb. rhamnosus* 51136 შერჩეულ იქნა შემდგომი საცდელი საწარმოო გამოცდებისთვის.



სურათი 28. მრავალკომპონენტური მწვანის დედო კულტურის კონსტრუირების ამსახველი სქემა. პირველ ეტაპზე განხორციელდა სამი შერჩეული სტრუქტურული შტამის შეწყვილება *Lb. bulgaricus* subsp. *bulgaricus*-ის და *Lb. bulgaricus* subsp. *lactis*-ის შერჩეულ კულტურებთან. შედეგად შეირჩა სწრაფი აციდოფიკაციის უნარის მქონე ორი კომბინაცია. შემდგომ საფეხურზე შერჩეულ სტრუქტურულ კულტურებს დაემატათ სინერგეტიკული *Lb. bulgaricus* subsp. *bulgaricus*-ის და *Lb. bulgaricus* subsp. *lactis*-ის შტამები და პრობიოტიკური პოტენციალის მქონე *Lb. rhamnosus*-ის კომბინაციები. შედეგად მიღებული 16 კომბინაცია შეფასდა აციდოფიკაციის სიჩქარის და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების მიხედვით. შედეგად საპილოტო-საწარმოო ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იქნა სამი კომპონენტური სტარტერი (*St. thermophilus* 51265/*Lb. delbrueckii* subsp. *lactis* 51333/*Lb. rhamnosus* 51136).

### 3.9. საპილოტო-საწარმოო ექსპერიმენტი

MilkoFood<sup>LTD</sup> საწარმოს მხარდაჭერით, შერჩეული სამკომპონენტური ავტოქტონური ცოცხალი დედოს გამოყენებით განხორციელდა 200ლ რძის შედეგად


და შესაბამისი რაოდენობის პროდუქტის ჩამოსხმა. ცდა განმეორდა სამჯერ. დამზადებული მაწონი, გემოვნებითი, ორგანოლეპტოკური თვისებებით და ხარისხით, ეთანხმება მწარმოებლის მოთხოვნებს და სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტს. შესაბამისად მიღებული პროდუქტი მიეწოდა მომხმარებელს.

საპილოტო ექსპერიმენტის მონიტორინგისთვის, ყოველ ცდაში, შემთხვევითათ შერჩეული იქნა დამზადებული პროდუქტის 12 სინჯი. მწარმოებლის მიერ დადგენილი ვარგისიანობის ვადა (14 დღე), განისაზღვრა დაკვირვების პერიოდად. მიღებულმა მონაცემებმა გვაჩვენა, რომ ტიტრირებადი მჟავიანობის მაჩვენებელი ვარირებდა 90-135°T, რაც საქპატენტის მიერ პროდუქტის რძეზე დამზადებული მაწონის დადგენილი ნორმის სტანდარტს (80-105°T) მცირედით ცდება. pH 4.6±2-4.1±2 უტოლდებოდა ანუ ნორმის ფარგლებში ვარირებდა.

მიღებულ პროდუქტში 14 დღის განმავლობაში ცოცხალი რძემჟავა ბაქტერიების საერთო რაოდენობა არანაკლებ 10<sup>7</sup>კწე/მლ წამოადგენდა. ეს მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია ცოცხალი კულტურების შემცველი იოგურტის ტიპის რძის პროდუქტის სტანდარტისთვის. პროდუქტის დამზადების საწყის ეტაპზე (ფერმენტაციის დაწყებიდან 5სთ შემდეგ) და შენახვის პირობების დაცვისას, მომდევნო 14 დღის განმავლობაში, კოლიფორმები და სოკოვანი ზრდა სინჯებში ნორმატიულ ზღვრებს არ აღემატებოდა. თუმცა საყურადღებოდ სინჯებში დაბალი ტიტრით (10<sup>2</sup>-10<sup>4</sup>კწე/მლ) გამოვლენილი ენტეროკოკული კონტამინაცია.

ნიმუში	pH ± 2	°T	SSM	MRS	M17	BEA	SDA	MAC	LB	Endo	SS
რძე (MilkFoodLTD)	6.6	20									
მაწონი I (5სთ, 44°C)	4.5	90	5.6x10 <sup>8</sup>	4.2x10 <sup>8</sup>							
მაწონი II (18სთ, 4°C)	4.23	120	7x10 <sup>8</sup>	3.32x10 <sup>8</sup>	1x10 <sup>8</sup>	6.2x10 <sup>4</sup>	1.44x10 <sup>6</sup>	1.68x10 <sup>3</sup>			
მაწონი III (7 დღე, 4°C)	4.18	135	3.4x10 <sup>8</sup>	2.4x10 <sup>8</sup>	2.2x10 <sup>8</sup>	6.4x10 <sup>4</sup>	1.12x10 <sup>3</sup>	0	0	0	0
მაწონი IV (14 დღე, 4°C)	4.17	135	5.8x10 <sup>8</sup>	4.4x10 <sup>8</sup>	4.8x10 <sup>8</sup>	8.6x10 <sup>4</sup>	6x10 <sup>2</sup>	0	0	0	0

სელექტიური არე



სურათი 29. მესამე საპილოტო ცდის მონიტორინგის შედეგები. ნაჩვენებია შესწავილი მაწონის ნიმუშების შენახვის პირობები და დრო, მჟავიანობა (pH), ტიტრირებადი მჟავიანობა (°T) და მიკროორგანიზმების ზრდის მონაცემები სახვადასხვა სელექტიუ ტესტ-არეებზე. ბაქტერიული კულტურების ზრდის მაჩვენებელი მოცემულია კწე/მლ-ში. SSM-გამოხდილი რძის აგარი; MRS-რძემჟავა ჩხირების სელექტიური აგარი; M17-რძემჟავა კოკების სელექტიური აგარი; BEA-*Enterococcus* სპეციფიური სელექტიური არე; SDA-საბუროს დექსტროზის აგარი, გამოიყენება საფუვრების კულტივაციისთვის; MAC-მაკონკის აგარი, გამოიყენება გრამ-

უარყოფითი ენტერობაქტერიების კულტივაციისთვის; LB-ლურია ბერთანის არე, გამოიყენება სხვადასხვა ენტერობაქტერიების კულტივაციისთვის; Endo-ლაქტოზა-ფუქსინის-სულფიტის აგარი, გამოიყენება *E. coli* სელექტიური გამოვლენისთვის; SS-სალმონელა-შიგელას აგარი, გამოიყენება *Salmonella spp.* და *Shigella spp.* სელექტიური კულტივაციისთვის.



## თავი IV. შედეგების განხილვა

მოცემული კვლევის ფარგლებში, საქართველოს ათ რეგიონში, შემთხვევითად შერჩეული ორმოცდაექვსი წერტილიდან შეგროვებულ იქნა სამოცდათორმეტი ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნის სინჯი. რძემქავა კულტურების იზოლაციის და იდენტიფიკაციის შედეგად მიღებული იქნა ექვსი სახეობის და ორი ქვესახეობის წარმომადგენელი ორას სამი უნიკალური ბაქტერიული კულტურა. შერჩევის სიმძლავრის მრუდის აგების საშუალებით დადასტურდა, რომ შეგროვებული სინჯების რაოდენობა ნამდვილად საკმარისი არის სინჯებში არსებული ბაქტერიული სახეობების მრავალფეროვნების გამოსავლენად.

RAPD პჯრ-ის, 500აწ 16S რ-რნმ ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის განსაზღვრის, სახეობა სპეციფიური პჯრ-ის და რესტრიქციული ენდონუკლეაზებით დამუშავების მეთოდების გამოყენებით იდენტიფიცირებული იქნა *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*, *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *St. thermophilus*, *Lb. rhamnosus*, *E. durans*, *E. faecium*, *E. faecalis*, და *Lb. vaginalis*-ის სახეობები. მათ შორის *Lb. rhamnosus* და *Lb. vaginalis* მაწვნის მიკრობიოტიდან პირველად იქნა გამოყოფილი.

*Lb. rhamnosus* ბუნებრივი ჰაბიტატი ადამიანის კუჭ-ნაწლავის სისტემაა. ამ სახეობის წარმომადგენელი შტამები, თავისი დადებითი თვისებების გამო, ხშირად გამოიყენება პრობიოტიკების სახით (Reid 2016). იშვიათად გვხვდება ფერმენტირებული პროდუქტების ბუნებრივი მიკრობიოტების შემადგენლობაში, რაც მაწვნიდან გამოყოფილი *Lb. rhamnosus* კულტურების ღირებულებაზე მიუთითებს.

*Lb. vaginalis* ქალის ვაგინალური მიკრობიოტის ნაწილია, ასევე გვხვდება ფერმენტირებულ საკვებ პროდუქტებში, თუმცა რძის ნადეღში ჰისტამინის ბიოსინთეზის აქტიური უნარის გამო საკვებ პროდუქტებში არასასურველ მიკროორგანიზამდ განიხილება (Diaz et al. 2020).

*Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*, *Lb. delbrueckii* subsp. *lactis*, *St. thermophilus* იოგურტის ტიპის ფერმენტირებულ პროდუქტებში დედო კულტურების სახით ხშირად გვხვდება და მათი მაწვნის ბიოტაში არსებობა ადრეული კვლევებშიც იქნა ნაჩვენები (Chanishvili et al. 2001; Uchida et al. 2007; Quero et al. 2014).

*E. durans*, *E. faecium*, *E. faecalis* თერმული დამუშავების მიმართ მაღალი გამძლეობის გამო რძის პროდუქტებში კონტამინანტების სახით ხშირად გვხვდება. როგორც ოპორტუნისტული პათოგენური ორგანიზმები, ისინი საკვებ პროდუქტებში არასასურველ მიკროორგანიზმებად განიხილება. ამასთან მაწვნიდან გამოყოფილი ბიოგენური ამინების წარმომქმნელი *E. durans* ადრეულ კვლევებშიც იქნა აღწერილი (Brusetti *et al.* 2008). შესაბამისად მაწვნის ავტოქტონური დედოს შესწავლის და დამზადების პროცესიდან *E. durans*, *E. faecium* და *E. faecalis* სახეობები გამოირიცხა.

*Enterococcus spp.* არტიზანული მაწვნის სინჯების 58% დაფიქსირდა, ხოლო შესწავლილი კომერციული მაწვნის 7 სინჯიდან *E. faecium* და *E. durans* სამ სინჯში ამოითესა. ასევე  $10^4$  კვ/მლ *Enterococcus spp.* დაფიქსირდა საპილოტო საწარმოო ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მაწვნის სინჯებში. რაც არტიზანული მაწვნის და საწარმოო გარემოს კონტამინაციაზე მიუთითებს. ენტეროკოკული დაბინძურების ამგვარი მაღალი სიხშირე მათ ბიოკონტროლის აუცილებლობაზე მეტყველებს. მოცემულ კვლევაში შეფასებულ იქნა მაწვნის იზოლატების მიმართ *Enterococcus spp.* სპეციფიკური ბაქტერიოფაგების ლითიური პოტენციალი. ამ მიზნით მაწვნიდან გამოყოფილი *Enterococcus spp.* შტამების ფაგომგრძნობელობის პირველადი დახასიათება გელიავას ინსტიტუტის კოლექციაში არებული ორი ლითიური მონოფაგის და ორი ფაგური პრეპარატის გამოყენებით განხორციელდა. შედეგად ოთხივე სუსპენზიის მიმართ სრული რეზისტენტობა *E. faecalis*-ის შტამების 66.67%, *E. durans*-ის 52.38% და *E. faecium* - 26% გამოავლინა, რაც მოცემული შტამების ბუნებრივ ფაგორეზისტენტობაზე მიუთითებს. გამდიდრების მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან ფაგორეზისტენტულ შტამების მიმართ აქტიური, სამი *Siphoviridae* (*1φDielo*, *4φSazandari*, *5φMuxambazi*) და ორი *Myoviridae* (*2φElibo*, *3φBuba*) ტიპის ახალი ბაქტერიოფაგი იქნა გამოყოფილი და დახასიათებული. მიღებული ფაგების აქტივობა შეფასდა როგორც მაწვნიდან გამოყოფილ კულტურებზე ასევე *Enterococcus spp.* კლინიკურ იზოლატებზეც. ახლად მიღებულმა ფაგებმა მაწვნის კულტურებთან შედარებით მეტი ლითიური აქტივობა კლინიკურ იზოლატებზე გამოავლინეს, სადაც ყველაზე აქტიურმა ფაგმა *4φSazandari* კლინიკური იზოლატების 60.2% ხოლო მაწვნის კულტურების მხოლოდ 12.2% ლიზისი გამოიწვია. სახეობების მიხედვით *E. faecium* და *E. durans* კულტურების მიმართ ყველაზე მაღალი აქტივობა

შესაბამისად 74% და 33.4%-ით, გ. ელიავას სახ. ინსტიტუტის კოლექციიდან მიღებულმა *vB\_GEC-EfM\_4* ბაქტერიოფაგმა გამოავლინა, ხოლო *E. faecalis*-ის მიმართ ყველაზე ეფექტური (33.3%) ახლად იზოლირებული *1φDielo* აღმოჩნდა. ჯამურად მაწვნიდან გამოყოფილი შტამების მხოლოდ 37.8%-მა გამოავლინა სრული რეზისტენტობა ყველა ტესტ ფაგის მიმართ. მიღებული მონაცემები მიუთითებს ფაგების გამოყენების პოტენციალზე როგორც *Enterococcus spp.* ბიოკონტროლის საშუალებაზე. რა თქმა უნდა მოცემული საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევებს ფაგების ლიზისის სტაბილურობის, ადაპტაციების, კომბინაციების ეფექტურობის და წარმოების პროცესში *in situ* გამოცდების კუთხით.

მოცემული კვლევის ფარგლებში შტამების მრავალფეროვნება მათი გენოტიპების, კერძოდ კი UPGMA კლასტერიზაციის საფუძველზე მიღებული ე.წ. ბიოტიპების მიხედვით იქნა შესწავლილი. M13 პრაიმერის გამოყენებით გენერირებული პოლიმორფული დნმ ამპლიკონების პროფილების და მათი იერარქიული აგლომერაციული კლასტერიზაციით აგებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მოცემული კოლექციის შტამების გენოტიპებზე დაფუძნებული ბიოტიპირება. აღწერილი მეთოდოლოგიის გამოყენებით საშუალება მოგვეცა კულტურების ბიომრავალფეროვნების ანალიზი სუბ-ქვესახეობების დონეზე. შედეგად შესაძლებელი გახდა შტამების ბიოგეოგრაფიული განაწილების შესწავლა, მათი მრავალფეროვნების დაწვრილებითი ანალიზი და სხვა კულტურებთან მათი ნათესაობის (კავშირების) დადგენა, რამაც მაწვნის მიკრობიოტაში მიმდინარე პროცესებზე სიღრმისეული დაკვირვების საშუალება მოგვცა.

ნაჩვენები იქნა, რომ მაწვნის მიკრობული კომპოზიცია და კულტურების რაოდენობა სინჯ-სპეციფიკური პარამეტრებია, რაც ადრეულ კვლევებთან თანხვედრაშია (Chanishvili *et al.* 2001). თუმცა მონაცემების დამუშავების შედეგად გამოჩნდა, რომ 2013-2015 წლებში მოპოვებულ მაწვნის სინჯებში *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ი (დისპერსიის ხარისხი 76.06%) *St. thermophilus*-ზე (22.54%) მეტად გავრცელებული დედო კულტურაა. ამასთან *St. thermophilus* ხასიათდება ყველაზე მაღალი შიდასახეობრივი მრავალფეროვნებით. *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus* სინჯების 75%-დან იქნა იზოლირებული, მათ შორის სინჯების 22% *Lb. delbrueckii* subsp. *bulgaricus*-ის ერთზე მეტ ბიოტიპს შეიცავდა, ხოლო სინჯების 17%-დან *Lb.*

*delbrueckii*-ის ორივე ქვესახეობა იქნა გამოყოფილი. ყველაზე ხშირი ბიოტიპები *Lb.bulgaricus* Biot.C სინჯების 38% და *Lb.bulgaricus* Biot.M 36%-ში დაფიქსირდა. ამ ბიოტიპების ბიოგეოგრაფიული განაწილება, ისევე როგორც ყველა დაფიქსირებული სახეობების ბიოტიპები, შემთხვევით ხასიათს ატარებს. მაწვნის დედო კულტურების სახეობების, ქვესახეობების, ბიოტიპების განაწილებასა და მათ გეოგრაფიულ ადგილ წამოშობას შორის კორელაცია არ დაფიქსირდა. დედო კულტურების განაწილება შემთხვევითია და სინჯ-სპეციფიურ ხასიათს ატარებს.

ამავდროულად ბიოტიპების დაწვრილებითი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნის მიკრობიოტებსა და კომერციულ პროდუქტებს შორის მიკროორგანიზმების მიმოცვლა ფიქსირდება. მოცემულ შემთხვევაში, კომერციული და არტიზანული მაწვნის სინჯებს შორის სულ 6 ბიოტიპის გადაფარვა დაფიქსირდა. ესენია: ტრადიციული წესით დამზადებული მაწვნების ყველაზე ხშირი ბიოტიპი *Lb.bulgaricus* Biot.C, ასევე *Lb.bulgaricus* Biot.L, *Lb.lactis* Biot.G, *S.therm.* Biot.H და *Enterococcus ssp.* ორი ბიოტიპი *E.durans* Biot.A და *E.faecium* Biot.B, რაც კომერციული და ტრადიციული მაწვნის დედო კულტურების და კონტამინანტების აქტიურ მიმოცვლაზე მიუთითებს. დედოს შენახვის ტრადიციული წეს-ჩვეულებების ცვლილებებთან ერთად, მაწვნის არტიზანულად დამზადებისას ხშირად კომერციული პროდუქტები გადადედება ხდება (პირადი კომუნიკაცია). რადგან მაწვნის ინდუსტრიული წარმოებისთვის ამჟამად იმპორტირებული მონოკულტურები გამოიყენება, კომერციული სტარტერების ტრადიციული წესით დამზადებულ პროდუქტში ინვაზიამ შესაძლებელია პროდუქტის მიკრობული მრავალფეროვნების თანმიმდევრული დეგრადაცია გამოიწვიოს.

